

ფაროსანა ციტრუსოვან კუდტურებშიც დაფიქსირდა – სეს-ის რეკომენდაციები



სურსათის ეროვნული სააგენტო იმ მოსახლეობას, რომელსაც ციტრუსის ბაღები აქვთ, ურჩევს ბაღების მონიტორინგი ყოველდღიურ რეჟიმში განახორციელონ და ფაროსანას აღმოჩენის შემთხვევაში, პესტიციდები გამოიყენონ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ზურაბ დიპარტიას თქმით, ფაროსანა დაფიქსირდა ციტრუსოვან კუდტურებშიც, მაგრამ არა იმ რაოდენობით, როგორც ეს იყო სხვა კუდტურებში. ინფორმაციას [ipn](#)-ი ავრცელებს.

ზურაბ დიპარტია ფერმერებს აფრთხილებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პესტიციდს გამოიყენებენ, აუცილებლად უნდა დაიცვან „ღოდინის პერიოდი“, რაც ნიშნავს, რომ ბოლო წამლობიდან მოსავლის აღებამდე 21 დღე უნდა გავიდეს, რათა არ მოხდეს მავნე ნივთიერებების პროდუქციაში დაგროვება.

აზიურმა ფაროსანამ დასავლეთ საქართველოს რეგიონებში მოსავლის დიდი ნაწილი გაანადგურა. მავნებერი მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებიდან სახლებში და საჯარო დაწესებულებებშიც გადავიდა.

სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას მოუწოდებს სააგენტოს მიერ გადაცემული პრეპარატებით დროულად განახორციელონ აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო შეწამვა. სააგენტოს ინფორმაციით, ექიმიური წამლობისას მნიშვნელოვანია პრეპარატების გამოყენების წესების და ვადების დაცვა.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბიფენტრინით შეწამვლა ტარდება სხვადასხვა შემასხურებელი მოწყობილობით, მათ შორის, ბურგსაკიდი აგრეგატებით. პრეპარატის კონცენტრაცია 10 ლიტრ წყარზე 30 მილიგრამს უნდა შეადგენდეს. პრეპარატის დაცვითი მოქმედების ეფექტია 10-14 დღე. მნიშვნელოვანია, მოსავლის აღებამდე ე.წ. „ღოღინის პერიოდის“ დაცვა. 21 დღე – ციტრუსოვან კურტურებზე, 30 – დღე სხვა მრავალწიან კურტურებზე, 20 – დღე მარცვრეუბზე, 15 დღე - ბოსტნეურსა და პარკოსნებზე. ბიფენტრინის გამოყენება შესაძლებელია სხვა კლასის პესტიციდებთან ერთად კომბინირებულ ნაბავში, გარდა ძვიერი ტუტე და მჟავა რეაქციის მქონე პრეპარატებისა.

imednews.ge